ურთიერთგაგების მემორანდუმი

გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს წარმომადგენლობას, ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ოფისს, ადგილობრივი დემოკრატიის ევროპულ ასოციაციასა და საქართველოს ადგილობრივ ხელისუფლებათა ეროვნულ ასოციაციას შორის

წინამდებარე ურთიერთგაგების მემორანდუმი იდება შემდეგ მხარეებს შორის: გაეროს განვითარების პროგრამის საქართველოს წარმომადგენლობა ("UNDP") - შვილობილი დაწესებულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა (მთავრობათაშორისი ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნებულია წევრი სახელმწიფოების მიერ და რომლის სათავო ოფისი ნიუ-იორკში მდებარეობს); **საქართველოს ადგილობრივ ხელისუფლებათა ეროვნული ასოციაცია** (შემდგომში, "NALAG"), რომლის სათავო ოფისი თბილისში მდებარეობს; **ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ოფისი** (შემდგომში - NDI), რომლის სათავო ოფისი თბილისში მდებარეობს; **ევროპული ასოციაცია ადგილობრივი დემოკრატიისთვის** (შემდგომში ALDA), რომლის სათავო ოფისი სტრასბურგში მდებარეობს; წინამდებარე მემორანდუმში, UNDP, NALAG, NDI და ALDA, შემდგომში, ერთობლივად მოხსენიებულნი არიან, როგორც ,,ხელმომწერი მხარეები".

ჩვენ, ქვემორე ხელმომწერი მხარეები:

ვაღიარებთ რა, ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობას, როგორც ფუნდამეტურ უფლებას ყველასთვის და არსებით ფასეულობას ყველა დემოკრატიისათვის;

ვაცნობიერებთ გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მნიშვნელობას მოქალაქეთა კეთილდღეობისათვის;

ვაღიარებთ, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალებისა და მამაკაცების დაბალანსებული მონაწილეობა და წარმომადგენლობა, ასევე მათი ხელმძღვანელ პოზიციებზე თანაბარი წარმომადგენლობა არსებითად მნიშვნელოვანია დემოკრატიისათვის;

მიგვაჩნია, რომ ადგილობრივი ხელისუფლება მოქალაქეთა თანასწორობის უფლების რეალიზებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

ვაცნობიერებთ საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის კონსოლიდირებული თანამშრომლობის მნიშვნელობას ქალთა და მამაკაცთა შორის სრულყოფილი თანასწორობის უზუნველყოფისათვის;

გვჯერა, რომ გენდერული თანასწორობის უფლების სრულყოფილი რეალიზებისათვის საჭიროა დამატებითი, ეფექტიანი, პრაქტიკული მექანიზმების შექმნა საჯარო მმართველობის ყველა სფეროში;

მიგვაჩნია, რომ მუნიციპალურ ხელისუფლებას, როგორც მოქალაქეებთან ყველაზე ახლოს მყოფ მმართველობის რგოლს, განსაკუთრებული როლი აკისრია საჯარო ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის უზრუნველყოფისათვის; შესაბამისად, აუცილებელია მათი კომპეტენციის ყველა სფეროში, ამ მიზნით, გათვალისწინებულ იქნეს ადეკვატური და ეფექტიანი ღონისძიებები;

გვჯერა, რომ დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და რეალური თანასწორობის დამკვიდრებისათვის აუცილებელია ქალების ჩართულობის უზრუნველყოფა ადგილობრივი და რეგიონალური პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში;

მიგვაჩნია, რომ ,,ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობისათვის", არის ევროპის საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომლის იმპლემენტაცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადგილობრივ დონეზე ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის განმტკიცებას;

ვიზიარებთ მსგავს მისიებს და გვსურს ვითანამშრომლოთ საერთო ინტერესის სფეროებში, იმისათვის, რომ გავზარდოთ განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების ეფექტიანობა;

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხელმომწერი მხარეები ვთანხმდებით შემდეგი სახის თანამშრომლობაზე:

მუხლი I
მემორანდუმის მიზანი

1.1. წინამდებარე მემორანდუმის მიზანია, განსაზღვროს თანამშრომლობის ჩარჩო და ხელი შეუწყოს ხელმომწერ მხარეებს შორის თანამშრომლობას საერთო ინტერესის სფეროებში.

მუხლი II
თანაშრომლობის სფეროები

2.1. ხელმომწერი მხარეები თანხმდებიან, ითანამშრომლონ:

ა), "ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ" ევროპული ქარტიის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდის მიზნით საქართველოში;

ბ) საერთო მიზნებთან და ამოცანებთან დაკავშირებული საქმიანობის სფეროში ინფორმაციის გაცვლისთვის, დაგეგმილი ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგების თაობაზე ინფორმაციის გავრცელებაში;

გ) გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისაკენ მიმართული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცის გაცვლისთვის.

მუხლი III
კონსულტაცია და ინფორმაციის გაცვლა

3.1. ხელმომწერი მხარეები იღებენ ვალდებულებას რეგულარულად მოახდინონ ურთიერთ-ინფორმირება და აწარმოონ კონსულტაცია ერთმანეთთან იმ საერთო ინტერესის საკითხებზე, რომლებსაც, მათი შეხედულებით, შესაძლოა, მოჰყვეს ერთობლივი თანამშრომლობა.

3.2. ამ მუხლით გათვალისწინებულმა კონსულტაციამ და ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცვლამ გავლენა არ უნდა იქონიოს იმ რეგულაციებსა და პროცედურებზე, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ დაცული იყოს ცალკეული ინფორმაციისა და დოკუმენტების კონფიდენციალობა;

3.3. ხელმომწერ მხარეებს შეუძლიათ მოიწვიონ ერთმანეთი, რომ გააგზავნონ დამკვირვებლები შეხვედრებსა და კონფერენციებზე, რომლებიც მათი ორგანიზებით ან მათი ეგიდით იმართება და რომელთა მიმართაც, ერთ-ერთი მხარის მოსაზრებით, შესაძლოა, ინტერესი ჰქონდეს მეორე მხარეს. ასეთი მოწვევა უნდა განხორციელდეს იმ წესით, რომელიც ვრცელდება ამ ტიპის შეხვედრებსა და კონფერენციებზე.

მუხლი IV
სახელისა და ემბლემის გამოყენება

4.1. არც ერთმა ხელმომწერმა მხარემ არ უნდა გამოიყენოს სხვა ხელმომწერის სახელი, ემბლემა ან სავაჭრო ნიშნები, თითოეულ შემთხვევაში, შესაბამისი მხარის მიერ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

4.2. წინამდებარე მემორანდუმის არც ერთი დებულება, ხელმომწერ მხარეს არ ანიჭებს უფლებას, შექმნას ჰიპერლინკი სხვა ხელმომწერი მხარის ვებ-გვერდზე შესასვლელად.

4.3. ხელმომწერი მხარეები თანხმდებიან, სათანადო წესით, საჯაროდ აღიარონ და პატივისცემა გამოხატონ პარტნიორობის მიმართ ამ მემორანდუმის ფარგლებში. ამ მიზნით, ხელმომწერმა მხარეებმა ერთმანეთთან უნდა აწარმოონ კონსულტაციები აღიარებისა და პატივისცემის გამოხატვის წესისა და ფორმების შესახებ.

მუხლი V
მემორანდუმიდან გასვლა და შეწყვეტა

5.1. წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილი თანამშრომლობა არ არის ექსკლუზიური ხასიათის და ხელმომწერ მხარე(ებ)ს შეუძლიათ გავიდნენ შეთანხმებიდან, წინასწარ, წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

5.2. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ხელმომწერი მხარეების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

მუხლი VI
შეტყობინება და მისამართები

ამ მემორანდუმის ფარგლებში ნებისმიერი შეტყობინება ან მოთხოვნა წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და ის უნდა ჩაითვალოს წარდგენილად მაშინ, როდესაც იგი ჩაბარებულია ხელზე, გაგზავნილია სერთიციფიცირებული ფოსტის საშუალებით, კურიერის მეშვეობით ან ელექტრონული ფოსტით, ხელმომწერი მხარისათვის, იმ მისამართზე, რომელიც მითითებულია ქვემოთ, ან იმ მისამართზე, რომელიც შემდგომ, სათანადო შეტყობინების გზით, ეცნობება მხარეებს.

უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერები:

ხელმოწერილია 2017 წლის 13 თებერვალს, თბილისში, საქართველოში

NDI
ლაურა თორნთონი
საქართველოს ოფისის დირექტორი
#5, შევჩენკოს ქუჩა, 0108, თბილისი, საქართველო

ALDA
ნინო თვალთვაძე
აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის კოორდინატორი
#1/A ორფელინის ქუჩა, 67000, სტრასბურგი, საფრანგეთი
კონტრ-ასიგნაცია:
ორიანო ოტოჩანი
ALDA-ს პრეზიდენტი

UNDP
შომბი შარპი
მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე,
UNDP საქართველო
#9, ერისთავის ქუჩა, 0179
თბილისი საქართველო

NALAG
თამარ ტალიაშვილი
აღმასრულებელი საბჭოს წევრი
#75 გ, კოსტავას გამზირი,
0178, თბილისი საქართველო
კონტრ-ასიგნაცია:
დავით მელუა
NALAG აღმასრულებელი დირექტორი